DEVELOPMENT OF TOURISM IN GEORGIA - REALITY AND CHALLENGES IN THE MODERN PERIOD

ტურიზმის განვითარება საქართველოში -რეალობა და გამოწვევები თანამედროვე პერიოდში

Khaliana Chitadze
Doctor of Economics, Assoc. Professor of Gori State University,
Gori, Chavchavadze st., №53, 1400, Georgia
+995 577 09 13 00 chitadze.xaliana@gmail.com
https://orcid.org/0000-0001-6795-9771

Abstract .Georgia is one of the most beautiful countries among tourist countries. Georgia is not distinguished by energy resources, oil, natural gas and other natural wealth, but it is one of the unique tourist countries in the world for visitors, and a kind of new discovery, with its great tourist potential and diversity, always arouses the desire to visit the country again and again. The development of sustainable tourism and the presentation of Georgia as a unique tourist country in the international tourist market are directly proportional to the development of the country's economy.

The development of tourism and territorial expansion is a solid basis for the development of the economic environment of Georgia. The tourism sector of Georgia has the greatest potential to contribute to the development of the economy of Georgia and the formation of financial income for the country. But, a few months ago, hardly anyone could have imagined that almost out of nowhere, a huge problem would appear, which would almost completely change the existing reality on earth from the economic, political, and social point of view.

Today's reality is that both the whole world and Georgia are fighting the spread of the covid infection and the catastrophic consequences caused by it. With a complete economic recession and economic collapse, which primarily affects the tourism sector and all economic entities involved in it.

The main goal of the paper is to study and analyze the growing opportunities for tourism development in Georgia and to analyze the catastrophic consequences caused and inflicted by the recently revealed invisible enemy, the Covid pandemic, and to outline further perspectives. The statistical data of tourism growth and financial income in Georgia, the perspective of tourism development in Georgia and the relevance and impact of the covid pandemic, which may cause irreparable damage, or at best with the possible prospect of returning to the status quo for years, to the viability of tourism, are analyzed. Also, the possibility of economic development vital for the development of the country

Keywords: tourism in Georgia; tourist potential; covid pandemic; Tourism and economy.

ხალიანა ჩიტაძე
ეკონომიკის დოქტორი,
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი,
ქ. გორი, ჭავჭავაძის ქ., №53, 1400, საქართველო,
+995 577 09 13 00 chitadze.xaliana@gmail.com
https://orcid.org/0000-0001-6795-9771

აბსტრაქტი:საქართველო ერთ-ერთი ულამაზესი ქვეყანაა ტურისტულ ქვეყნებს შორის. საქართველო არ გამოირჩევა ენერგო რესურსების, ნავთობის, ბუნებრივი აირის და სხვა ბუნებრივი სიმდიდრით, მაგრამ ეს არის მსოფლიოში ერთ-ერთი უნიკალური ტურისტული ქვეყანა ვიზიტორებისთვის და ერთგვარი ახალი აღმოჩენა, თავისი დიდი ტურისტული პოტენციალით და მრავალფეროვნებით ქვეყნის განმეორებითი მონახულების სურვილს ყოველთვის აღძრავს. მდგრადი ტურიზმის განვითარება და საერთაშორისო ტურისტულ ბაზარზე საქართველოს, როგორც უნიკალური ტურისტული ქვეყნის წარმოჩენა, პირდაპირპროპორციულია ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისა.
საქართველოს ეკონომიკური გარემოს განვითარების მყარ საფუძველს ტურიზმის განვითარება და ტერიტორიალური გაფართოება წარმოადგენს. საქართველოს ტურისტულ სექტორს გააჩნია უდიდესი პოტენციალი, საკუთარი წვლილი შეიტანოს საქართველოში ეკონომიკის განვითარების და ქვეყნისთვის ფინანსური შემოსავლების ფორმირების კუთხით. მაგრამ, რამდენიმე თვის წინ, ძნელად თუ ვინმე წარმოიდგენდა, რომ თითქმის არსაიდან გაჩნდებოდა უდიდესი პრობლემა, რომელიც თითქმის სრულად შეცვლიდა არსებულ რეალობას დედამიწაზე ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური კუთხით.
ნაშრომის ძირითადი მიზანია, შევისწავლოთ და გამოვიკვლიოთ საქართველოში ტურიზმის განვითარების მზარდი შესაძლებლობების ანალიზი და ბოლო პერიოდში გამოვლენილი კოვიდ პანდემიის მიერ გამოწვეული და მიყენებული კატასტროფული შედეგების გაანალიზება და შემდგომი პერსპექტივების დასახვა. გაანალიზებულია საქართველოში ტურიზმის ზრდის და ფინანსური შემოსავლების სტატისტიკური მონაცემები, საქართველოში ტურიზმის განვითარების პერსპექტივა და კოვიდ პანდემიის შესაბამისობა და გავლენა, რომელმაც შეიძლება გამოუსწორებელი ზიანი მიაყენოს, ან საუკეთესო შემთხვევაში წლების მანძილზე არსებულ მდგომარეობამდე დაბრუნების შესაძლო პერსპექტივით, ტურიზმის სიცოცხლისუნარიანობას. ასევე, ქვეყნის განვითარებისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელი ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობას.
საკვანძო სიტყვები: ტურიზმი საქართველოში; ტურისტული პოტენციალი; კოვიდ პანდემია; ტურიზმი და ეკონომიკა.

შესავალი: საქართველოში ტურიზმის განვითარება უდიდეს პოტენციალს ქმნის ქვეყნისათვის ეკონომიკის განვითარების და ფინანსური შემოსავლების ფორმირების კუთხით. აქედან გამომდინარე ტურიზმის ინდუსტრიის განვითარება პრიორიტეტულ დარგად არის მიჩნეული ჩვენს ქვეყანაში. მსოფლიოში გაჩენილმა უდიდესმა პრობლემამ კოვიდ პანდემიამ , რომელმაც თითქმის სრულიად შეცვალა არსებული რეალობა დედამიწაზე ეკონომიკური,

პოლიტიკური, სოციალური კუთხით, მნიშვნელოვანი დარტყმა მიაყენა საქართველოს ეკონომიკას და ქვეყნის ფინანსურ შემოსავლებს.

აქტუალობა.განსაკუთრებით გვინდა თქვენი ყურადღება გავამახვილოთ ტურისტულ სფეროზე და იმ პრობლემებზე, რომლებიც საქართველოს (და არა მარტო საქართველოს) ტურისტული სექტორის წინაშე პირველ რიგში დგას.

- დღეს არსებული რეალობიდან გამომდინარე კვლავ უცნობია რა დამატებითი საფრთხის წინაშე შეიძლება აღმოჩნდეს ტურისტული სექტორი?
- რა ქმედითი ნაბიჯებია საჭირო იმისათვის, რომ მოხდეს საქართველოში და მთელს მსოფლიოში ტურისტული სექტორის მეტად მობილიზება და ზრდა?
- შესაძლებელია, თუ არა საერთოდ შევინარჩუნოთ ტურისტული სექტორი პანდემიის პირობებში?

კვლევის მიზანი. კვლევის მიზანია, შევისწავლოთ და გამოვიკვლიოთ საქართველოში ტურიზმის განვითარების მზარდი შესაძლებლობების ანალიზი და ბოლო პერიოდში გამოვლენილი კოვიდ პანდემიის მიერ გამოწვეული და მიყენებული კატასტროფული შედეგების გაანალიზება და შემდგომი პერსპექტივების დასახვა.

მეთოდი. სამეცნიერო სტატია ეფუძნება კვლევის ისეთ მეთოდებს, როგორიცაა ანალიზი, შედარებით-ისტორიული მეთოდი, მიზეზობრივ-შედარებითი ანალიზი, სინთეზი, აბსტრაქცია, სისტემუ

ტურიზმის ინდუსტრია მსოფლიო ეკონომიკის ერთ-ერთი ყველაზე დიდი და მნიშვნელოვანი დარგია. ტურიზმის განვითარება აახლოებს მსოფლიოს ხალხებს. ტურიზმი ის სფეროა, სადაც ტურისტის მოთხოვნები და უსაფრთხოება არის უზრუნველყოფილი და დაცული. საქართველო ეს ის ქვეყანაა, რომელიც ოდითგანვე განთქმული არის ქართველი ხალხის სტუმართმასპინძლობით. დღეისათვის საქართველოს ულამაზესმა კურორტებმა და ტურისტულმა პოტენციალმა უკანასკნელ პერიოდში უცხოელი ვიზიტორების მოზიდვა განაპირობა.

საქართველო წარმოდგენს უნიკალურ ადგილს, სადაც ტურისტებს და ვიზიტორებს შესაძლებლობა აქვთ ეზიარონ უძველეს კულტურას და დატკბნენ ველური, თითქმის ხელშეუხებელი ბუნების სანახაობებით. საქართველო ცნობილია არა მარტო სტანდარტული ტურისტული შესაძლებლობებით, არამედ თავისი საინტერესო ბუნებრივი, ისტორიული და კულტურული ფასეულობებით, რომელთაგან საკმარისია აღნიშნოთ ის, რომ ეს არის უძველესი მითოლოგიური ქვეყანა, უძველესი კოლხეთი და ოქროს საწმისის ქვეყანა, რომელსაც ათასობით წლის ისტორია აქვს. იგი დღესაც გამოირჩევა ფლორისა და ფაუნის მრავალფეროვნებით და უნიკალური ენდემური ჯიშებით. გარდა ბუნებრივი სიმდიდრეებისა, საქართველოში მრავლადაა უნიკალური ისტორიულ-კულტურული ფასეულობები, რომელთა ილუსტრირებასაც ახდენს დღემდე შემორჩენილი უძველესი ნაგებობები, არტეფაქტები და უნიკალური სამზარეულო, რომელიც სოფლის მეურნეობის უძველეს ტრადიციებზეა დაფუძნებული. საქართველოს ტურისტულ შესაძლებლობებს ესა არის მათი უნიკალურობა, რომელიც გამოიხატება იმით, რომ აქ ერთდროულად თავმოყრილია, როგორც ისტორიულ-კულტურული, ისე ბუნებრივი ფასეულობები.(ჭიოტაშვილი, ჩიტაძე 2021)

კვლევის შედეგები /დისკუსია. ნაშრომში განხილულია ის ძირითადი ფაქტორები, რომლებიც ახდენენ გავლენას საქართველოს ტურისტულ სფეროზე.

კვლევა ეფუძნება სტატისტიკურ მასალებს, სხვადასხვა სამთავრობო ორგანიზაციებიდან, არასამთავრობო უწყებებიდან და საერთაშორისო ორგანიზაციებისგან მიღებულ მონაცემებს.

სამთავრობო უწყებების და ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მოტივაციას და ქმედებებს არსებულ პრობლემასთან დაკავშირებით, ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ რეალობას და ფსიქოლოგიურ ფაქტორებს. გამოყენებულია ვერბალური ინტერვიუები საქართველოს მთავრობის და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან. კვლევაში გამოყენებულია როგორც რაოდენობრივი, ისე თვისობრივი მიდგომები არსებული პრობლემატური რეალობის დასადგენად. დასკვნა და რეკომენდაციები ემყარება არსებული და მიღებული მონაცემების რაოდენობრივ და თვისობრივ ანალიზს არსებულ მდგომარეობის შესახებ და საერთაშორისო გამოცდილებას.

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, დიდი პრობლემების წინაშე დადგა ტურიზმის სექტორი, რაც ძირითადად გამოწვეული იყო ქვეყნის მძიმე სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობით. ყურადღება არ ექცეოდა და არ გამოიყენებოდა კომპლექსური და სისტემური მიდგომა ტურიზმთან მიმართებაში. ახალი რეალობიდან გამომდინარე არასწორად იყო იდენტიფიცირებული ტურიზმის ჩამოყალიბების მიზნები და ასევე არ არსებობდა ჩამოყალიბებული სამართლებრივი ბაზა. აღნიშნულის გამო საქართველოს ტურიზმის სფერო დაბალი ეფექტიანობით ხასიათდებოდა.

განსაკუთრებით ბოლო წლების განმავლობაში, ტურიზმის სფერო საქართველოში განსაკუთრებით დიდ მასშტაბებს იღებდა და ხასიათდებოდა მზარდი და დინამიური განვითარებით. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ეს ოთხივე სეზონის ქვეყნა ყოველმხრივ მდიდარია სამთო, საზღვაო, ბარის, დაცული ტერიტორიების, თვითმყოფადი ეროვნულ-ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის და უნიკალური ეკოსისტემების ტურისტული პოტენციალით, რომელთა გამოყენებისა და განვითარების შესაძლებლობების შესწავლა და კვლევა უმნიშვნელოვანესია. (ჭიოტაშვილი, ჩიტაძე 2020)

სახელმწიფოს მხრიდან ყურადღებამ ტურიზმის სექტორისადმი გამოიწვია ბევრი დადებითი ფაქტორი და ტურიზმის შემდგომი განვითარების გრძელვადიანი პერსპექტივების დასახვა. დადებითი ფაქტორებიდან აღსანიშნავია ის, რომ შედარებით განვითარდა ტურისტული ინფრასტრუქტურა; გაიზარდა როგორც საერთაშორისო, ისე ადგილობრივი ვიზიტორების რაოდენობა; საშუალო, მცირე, წვრილი და მიკრო ბიზნესის განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობები შეიქმნა; დასაქმდა მეტი ადამიანი და ადამიანების ჩართულობამ რეკორდულ ზღვარს მიაღწია და შეადგინა დაახლოებით 150000 ადამიანი, მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმება და ჩართულობა; გაიზარდა ტურისტული შემოსავლები და ასევე სახელმწიფოს ფინანსური კუთხით შემოსავლები; ბევრად უფრო ცნობადი და მიმზიდველი გახდა საქართველო და მისი ტურისტული პოტენციალი, რასაც მოწმობს სხვა ქვეყნების მთავრობის მხარდაჭერები, საერთაშორისო ორგანიზაციების, დონორი ორგანიზაციების, სხვადასხვა საქველმოქმედო ორგანიზაციების, ფონდების და სააგენტოების დიდი დაინტერესება და ჩართულობა.

სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით 2005 -2019 წლებში დაფიქსირდა ვიზიტორთა რაოდენობის ყოველწლიური ზრდა, რომლებმაც საქართველოს ტერიტორიებზე იმოგზაურეს. მონაცემების მიხედვით ვიზიტორების ზრდაში მნიშვნელოვანი წვლილი მეზობელი ქვეყნებიდან შემოსულ ტურისტებს ეკუთვნოდათ. აღსანიშნავია ასევე , რომ მნიშვნელოვანი ზრდა სწორედ იმ ქვეყნებიდან ფიქსირდებოდა, სადაც საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მარკეტინგული კომპანიები ხორციელდებოდა.

ევროკავშირის მოქალაქეების წილი საერთაშორისო მოგზაურების რაოდენობაში იზრდებოდა. 2021 წელს, საქართველოში დაახლოებით 1.88 მლნ საერთაშორისო მოგზაური შემოვიდა, რაც 2020 წელთან შედარებით 7.7% ზრდას წარმოადგენდა. მათ შორის, საერთაშორისო

ვიზიტორების ვიზიტების რიცხვმა დაახლოებით 1.7 მლნ შეადგინა, რაც 2020 წლის მაჩვენებელს 13.7%-ით აღემატებოდა, ხოლო უშუალოდ ტურისტული ვიზიტების რიცხვმა დაახლოებით 1.5 მლნ ვიზიტი შეადგინა, რაც 2020 წლის მაჩვენებელთან შედარებით 45%-ით მეტი იყო. უშუალოდ 2019 წელთან, ანუ პრეპანდემიურ პერიოდთან შედარებით, საერთაშორისო მოგზაურების ვიზიტების რიცხვი 79.9%-ით არის შემცირებული, საერთაშორისო ვიზიტორების ვიზიტების რიცხვი 77.7%-ით, ხოლო ტურისტების რიცხვი 69%-ით. საინტერესოა, რომ 2020 წელთან შედარებით, ფიქსირდება ტურისტული ვიზიტების ზრდა, ხოლო ერთდღიანი ვიზიტებისა და არატურისტული ვიზიტების რიცხვი მნიშვნელოვნად შემცირდა, რაც სავარაუდოდ მოგზაურების მიერ, პანდემიასთან დაკავშირებით გამოჩენილ სიფრთხილეს უკავშირდება.

ვიზიტის ტიპი	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021
საერთაშორისო მოგზაურების ვიზიტები	5 889	6 306	6 720	7 903	8 680	9 358	1 747	**1881**
საერთაშორისო ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტები	5 004	5 256	5 393	6 483	7 203	7 726	1 513	**1721**
ტურისტული ვიზიტი	2 939	3 012	3 297	4 069	4 757	5 080	1 087	1577
ერთდღიანი ვიზიტი	2 065	2 244	2 096	2 413	2 447	2 645	426	144
სხვა (არატურისტული)	884	1 050	1 327	1 420	1 476	1 632	234	**160**

ცხრილი 1: საერთაშორისო მოგზაურობის სტატისტიკა 2014-2021 წლებში

წყარო: საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია

მეორე მხრივ, 2020 წელს შემოსული ვიზიტორების სრული უმრავლესობა, ბუნებრივია პირველი კვარტლის განმავლობაში შემოვიდა, როდესაც საქართველოში, პანდემიასთან დაკავშირებული შემზღუდავი ზომები ჯერ კიდევ არ მოქმედებდა, ძირითადად, იანვარ-თებერვლის განმავლობაში. საერთაშორისო ვიზიტორების ვიზიტების დინამიკა, თვეების მიხედვით, წარმოდგენილია გრაფიკ 1-ზე. 2020 წლის პირველი კვარტლის განმავლობაში, განხორციელდა 1.12 მლნ საერთაშორისო ვიზიტი, რაც დანარჩენი წლის განმავლობაში შემოსული ვიზიტორების ჯამურ რაოდენობას (392,928) 2.8-ჯერ აღემატება. შესაბამისად, პანდემიური სურათის უკეთ დასანახად, რელევანტურია დანარჩენი კვარტლების განხილვა. 2021 წლის მეორე, მესამე და მეოთხე კვარტლის მონაცემებით, 2020 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, საერთაშორისო ვიზიტორების რიცხვი 4-ჯერ გაიზარდა, რაც შეზღუდვების შემსუბუქებასთან და ვირუსთან დაკავშირებული გაურკვევლობის შემცირებას უკავშირდებოდა.

გრაფიკი 1: საერთაშორისო ვიზიტორების დინამიკა 2019-2021 წლების განმავლობაში, კვარტლების მიხედვით

წყარო: საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია

ეროვნული ბანკის მონაცემებით, 2021 წელს, საქართველომ საერთაშორისო მოგზაურობიდან დაახლოებით 1.2 მლრდ აშშ დოლარი მიიღო, რაც 2020 წლის მაჩვენებელს 130%-ით აღემატება, ხოლო 2019 წლის მაჩვენებელს 62%-ით ჩამოუვარდება. ზოგადად, პირველი კვარტალში, მთლიან წელთან შედარებით, შემოსავალი საერთაშორისო მოგზაურობიდან მცირეა, შესაბამისად, შემდეგ კვარტლებში ვიზიტორების რაოდენობა კიდევ უფრო გაიზარდა, რასაც 2021 წლის შემდგომ კვარტლებში, შეზღუდვების შემსუბუქებამაც შეუწყო ხელი. ბუნებრივია, ვიზიტორების ნაწილში დასახელებული ეფექტი პირველ კვარტალთან დაკავშირებით, შემოსავლების შემთხვევაშიც რელევანტურია. კერძოდ, თუ წლიური თვალსაზრისით, 2021 წელს 2020 წელთან შედარებით შემოსავლები დაახლოებით 2.2-ჯერ გაიზარდა, მეორე, მესამე და მეოთხე კვარტლის მონაცემებით, შემოსავლები გაიზარდა დაახლოებით 10.4-ჯერ, რაც საბაზო ეფექტიდან გამომდინარე შთამბეჭდავი რიცხვია. თუმცა, პრე-პამდემიურ პერიოდთან შედარებით, ბუნებრივია, მდგომარეობა ჯერ კიდევ არასახარბიელოა და შემოსავლები მოგზაურობიდან 2011-2012 წლების საშუალო დონეს უტოლდება.

ცხრილი 2: შემოსავლები საერთაშორისო მოგზაურობიდან

	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021*
სულ	1,868	2,111	2,704	3,222	3,269	542	1,245
მათ შორის:							
I.კვ.	305	343	426	551	578	428	54
II.კვ.	409	497	630	810	878	29	246
III.კვ.	743	813	1,078	1,211	1,127	43	566
IV.კვ.	411	458	571	651	686	43	379

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დასკვნები და წინადადებები. დღეს საქართველოში მთავრობამ უნდა შეასრულოს წამყვანი როლი ტურიზმის განვითარების სტრატეგიის განსაზღვრაში, რომელშიც სრულად იქნება გათვალისწინებული ეკონომიკური, ეკოლოგიური, სოციალური და ორგანიზაციული

ასპექტები. საქართველოში ტურიზმის განვითარებისათვის და წინსვლისათვის უნდა განვიხილოთ შემდეგი პრობლემები და ღონისძიებები:

- ქვეყანაში არსებული პოტენციალის და რესურსების მონაცემთა სრულყოფილი ბაზის შექმნა
- ტურიზმის სხვადასხვა სახეების განვითარება ქვეყანაში
- ბუნებრივი რესურსების გონიერი და ეფექტური გამოყენება
- ეკონომიკური განვითარება, ბიზნესისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა
  ეს მცირე ჩამონათვალია იმ პრობლემების და ღონისძიებების, რომლებიც ამ დარგის განვითარებისათვის სახელმწიფოს აქტიური მხარდაჭერის შემთხვევაშია შესაძლებელი.

საქართველოში ტურიზმის განვითარება ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკის აღმავლობას, პირველ რიგში ხელს შეუწყობს მოსახლეობის დამატებითი შემოსავლების გაზრდას, რაც გამოიწვევს ქვეყანაში ეკონომიკის ზრდას.

გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალი

ჭიოტაშვილი, დ. ჩიტაძე, ხ.(2021). კოვიდ პანდემის გამოწვევები და საქართველოს ტურისტული შესაძლებლობები.საერთაშორისო რეფერირებადი ჟურნალი ეკონომიკა ბიზნესი და ადმინისტრირება.სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი 3-5

ჭიოტაშვილი, დ. ჩიტაძე, ხ.(2020). კოვიდ პანდემია და ტურიზმი საქართველოში. მეცამეტე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია განათლებისა და მეცნიერების ინოვაციური განვითარება: მიმართულებები, გამოწვევები და განვითარების პერსპექტივები 5-6

Tchiotashvili, D. Chitadze, Kh. (2020)Tourism Potential of Georgia and Covid Pandemic - An Insurmountable Problem, or the Perspective of New Opportunities. International Scientific Conference Cultural, and national security. Opole University of Technology social and ethical determinants of business, econom, management, Department of Humanities and Law. Poland 7-8

[1] საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია www.gnta.ge
[2] კორონავირუსის საქართველოში გავრცელების პრევენცია www.stopcov.ge
[3] საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო www.moh.gov.ge
[4] საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო www.economy.gov.ge
[5] საქართველოს ფინანსთა სამინისტრო www.mof.gov.ge
[6] საქართველოს მთავრობა www.gov.ge